ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N09
25 მაისი 2022 წ.

დაბა ლენტეხი

„ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**
მუხლი 1
შეტანილ იქნეს ცვლილება ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 - მარტის №11 დადგენილებაში და დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს დასუფთავების ადგილობრივი მოსაკრებელი და მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

1. ფიზიკური პირებისათვის დასუფთავების გადასახადი განისაზღვროს 1-ლარი ერთ ერთეულზე, მაგრამ არაუმეტეს 3 (სამი) ლარისა სულზე, ამასთან სულადობის მაქსიმალური ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 4(ოთხი) სულით იჯახის წევრთა რაოდენობის მიუხედავად;

2. სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის დასუფთავების გადასახადი განისაზღვროს 0,50 ლარით;

3. იურიდიული პირებისათვის, ინდმეწარმეებისათვის და დაწესებულებებისათვის დაწესდეს ყოველთვიური მოსაკრებელი:

ა) ა(ა)იპ-ების, შპს-ების, ინდმეწარმეების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებისათვის და სხვა დაწესებულებებისათვის დასუფთავების მოსაკრებელი განისაზღვროს 20 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე ყოველთვიურად;

ბ) საოჯახო სასტუმროებისათვის, გარე მოვაჭრეებისათვის 20 ლარი ერთ კუბურ მეტრ ნარჩენზე“.

გ) მაღაზიები, აფთიაქები, სილამაზის სალონები - 10.კვ/მ-მდე ფართი 10-ლარი, 10კვ/მ ზემოთ 20-ლარი.

დ) სასტუმრო, საჯარო სკოლები, ბენზოგასამართ სადგურები და საავადმყოფო 50-ლარი.

ე) კვების ობიექტები 30 ლარი.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი გაზდელიანი